პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბოლშევიკური კადრებისათვის

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის, რექტორატისა და პროფკომის ორგანო

პარასკევი 10 მარტი 1939 წ.
№ 7 (149)

ფასი 5 კაპ.



# მომხსენებელია ამხანაგი სტალინი

საბჭოთა კავშირის დედა ქალაქ მოსკოვში დღეს გაიხსნება და მუშაობას დაიწყებს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა. ყრილობის დღისწესრიგის პირველ საკითხზე—საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში,—მოხსენებას გააკეთებს ამხანაგი **სტალინი**.

დღიდან XVIII პარტყრილობის მოწვევის ვადისა და დღისწესრიგის გამოქვეყნებისა ფართოდ გაიშალა წინასაყრილობო შეჯიბრება სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს სასწავლებლებში და სხვაგან.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ივალდებულეს და ახალ-ახალი საჩუქრები მოუმზადეს გმირული პარტიის XVIII ყრილობას საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულების, მოწინავე მეცნიერების დაუფლებისა და ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის კიდევ უფრო განმტკიცების საქმეში.

ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით კონკრეტული ვალდებულებები აიღო თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივმაც. ვალდებულებანი ითვალისწინებს საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას, სამეცნიერო საკვლევო მუშაობისა და სასწავლო პროცესის უფრო გაუმჯობესებას, სწავლის ფრიადოსნების ზრდას და სხვა.

უნივერსიტეტის სტამბა-ლითოგრაფიის კოლექტივმა ყრილობის მოწვევის გამო აღებული ვალდებულება ნათლად შეასრულა. სტამბამ გამოასწორა იანვრის თვის ჩამორჩენა და თებერვლის გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით. საამწყობო საამქროს მუშებმა **ყაზაროვმა, გაჩეჩილაძემ, ჩირაძემ და გარსევანიშვილმა** ინდივიდუალური გეგმები 128,6 პროცენტით შეასრულეს. ასევე წინ მიდიან საამკინძაო საამქროს მუშები **ქავთარაძე და მეგრელიშვილი**.

**ლენინ-სტალინის** პარტიის XVIII ყრილობას უნივერსიტეტის 914 სტუდენტი სწავლის ფრიადოსნობით და 773 სტუდენტი სწავლის დამკვრელობით ეგებება. ფრიადოსნობასა და დამკვრელობასთან ერთად ისინი აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევიან.

მეცნიერ მუშაკმა პროფ. **კ. მეგრელიძემ** დაასრულა შრომა „საქონლის მცოდნეობის კურსი“. დოც. **დ. მირიანაშვილს** დასაბეჭდად გამზადებული აქვს მეთოდიური სახელმძღვანელო—„დანაშაულის გამოკვლევის დაწყება და დაგეგმვა.“ პროფ. **მ. გოგიბერიძემ** დაამთავრა გამოკვლევა მეთორმეტე საუკუნის ქართველ ფილოსოფოს იოანე პეტრიწზე და შრომა წარდგენილია გამოსაცემად. აღნიშნულ შრომების ვადაზე ადრე დასრულება მათ ყრილობის მოწვევის გამო იკისრეს და კიდეც გაანაღდეს. ასეთი მაგალითები მრავალია უნივერსიტეტის სინამდვილეში.

საქართველოს ბოლშევიკები ყველა მოკავშირე რესპუბლიკების ბოლშევიკებთან ერთად ახალი გამარჯვებებით მივიდნენ XVIII პარტყრილობაზე.

საქართველოს ბოლშევიკებმა უკანასკნელ 7-8 წლის განმავლობაში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტურ მშენებლობის ყველა ფრონტზე. ეს იმის შედეგია, რომ საქართველოს ბოლშევიკები, რომელსაც სათავეში ედგა ამხანაგი **ბერია** მტკიცედ ატარებდნენ ცხოვრებაში სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და პირადათ დიდი **სტალინის** მითითებებს.

XVIII პარტყრილობა შეაჯამებს საბჭოთა ქვეყნის ისტორიულ მიღწევებს და დასახავს მესამე ხუთწლედის გრანდიოზულ ამოცანებს.

ჩვენი ამოცანაა არ დავკმაყოფილდეთ მიღწევებით და კიდევ უფრო გავაძლიეროთ ბრძოლა სამეცნიერო საკვლევო და სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. **ფრიადზე დავეუფლოთ მოწინავე მეცნიერებას!**

## პარტიული ცხოვრება

# დავეხმაროთ წრეში მეცადინეობის მსურველთ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის ისტორიული დადგენილების —„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“, შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული პარტიულ პოლიტწრეებში გაერთიანებული ამხანაგების 95 პროცენტზე მეტმა სურვილი გამოსთქვეს გადასულიყვნენ ინდივიდუალურ დამოუკიდებელ მუშაობაზე პარტიის ისტორიის შესწავლისათვის.

ამ ამხანაგებისათვის ეწყობა კვალიფიციური ლექციები და აგრეთვე ინდივიდუალური კონსულტაციები ლენინიზმის კაბინეტში. ასე, რომ პარტიის ისტორიის შესწავლაზე ინდივიდუალურად მომუშავე ამხანაგებს ლექციებისა და კონსულტაციების სახით დახმარება ეწევა.

ახლა მთავარია დაუღალავი მუშაობა თვით კომუნისტების მიერ **მარქსიზმ-ლენინიზმის** კლასიკოსების ნაწარმოებებზე, რომ ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლოთ ჩვენი პარტიის გმირული ისტორია.

**როგორ ეხმარება პარტიული კომიტეტი იმ ამხანაგებს, რომლებმაც სურვილი განაცხადეს პოლიტწრეებში მუშაობაზე?** მართალია, რომ პარტკომმა შეისწავლა პოლიტწრეებში გაერთიანების მსურველი ამხანაგები, შექმნილია ორი ტიპის წრე: კადრების ძირეული რგოლისათვის და უმაღლესი ტიპის, დამტკიცებულია მსურველთა სიები, გამოყოფილია კვალიფიციური პროპაგანდისტები. **მაგრამ მეცადინეობა დღემდე არ დაწყებულა.** პარტიულმა კომიტეტმა დროზე უნდა მოაგვაროს ეს საკითხი.

**ი. ჩხეტიანი.**

# თანდათანობით ვადგენ კონსპექტს

ვეცნობი და ვსწავლობ მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს მოცემულია **სტალინურ** სახელმძღვანელოში „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“. მეცადინეობისას ვადგენ კონსპექტს, ვიწერ მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებიდან დამახასიათებელ ციტატებს.

დავრწმუნდი, რომ ცოდნის შეძენისათვის საჭიროა მხოლოდდამხოლოდ მონდომება, აქ დროის უქონლობასა და გადატვირთვაზე არ შეიძლება ლაპარაკი. დრო გვაქვს, მხოლოდ წესიერად უნდა გავანაწილოთ იგი.

ერთი გარემოება, რომელიც ხელს მიშლის დამოუკიდებელ მუშაობაში არის ლიტერატურის უქონლობა, მაგალითად არა მაქვს მარქსიზმის კლასიკოსების ყველა ნაშრომები. ამ მხრივ საკმაოდ ვერ გვეხმარება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაც. ბიბლიოთეკაში მცირე რაოდენობით აქვთ მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომები, ეს დიდი ნაკლია ბიბლიოთეკისათვის.

**ა. დგებუაძე.**

# კომკავშირული კრების შესახებ

კომკავშირული კრება წარმოადგენს ახალგაზრდობის აღზრდის საუკეთესო საშუალებას. ამიტომ კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ამოცანაა სათანადო მომზადებითა და აქტივობით ჩაატარონ კრებები, **მაგრამ სამწუხაროდ უნივერსიტეტის სინამდვილეში ეს, ასე არ ხდება, რაშიც არ შეიძლება არ დავინახოთ კომკავშირის კომიტეტისა და ფაკულტეტების ბიუროების სუსტი მუშაობა.**

კომკავშირელებისა და კავშირგარეშე ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილი წინასწარ ვერ გებულობს კრების მოწვევის ამბავს, არ იციან დღისწესრიგი, მოუმზადებელი ცხადდება კრებაზე, რის გამო სუსტია მათი აქტივობა.

გარდა ამისა იშვიათად, რომ კრება შესდგეს დანიშნულ დროზე. კრების თამჯდომარის არჩევა ხშირად უწესრიგოდ ხდება — ყვირილი, ხმაური, შეძახილები, რაც კიდევ უფრო აჭიანურებს კრების დაწყებას.

ზემოდასახელებული დამახასიათებელია თითქმის ყველა ფაკულტეტისათვის. 15 თებერვალს **ფილოლოგიის** ფაკულტეტის კომკავშირის ღია კრებაზე 725 კომკავშირელიდან და 400 კავშირგარეშე ახალგაზრდიდან გამოცხადდა მხოლოდ 270 კაცი. კრებაზე გამოცხადების საქმეში მსგავსი მდგომარეობაა **ფიზიკა-მათემატიკის** ფაკულტეტზე. ფილოლოგიის ფაკულტეტზე თებერვლის თვეში 2-ჯერ ჩაიშალა კომკავშირის კრება.

**ს. პაპიანი**

1919 წლის მარტში მოსკოვში სხვადასხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების I კონგრესზე, ლენინისა და ბოლშევიკების ინიციატივით, დაარსებულ იქნა კომუნისტური ინტერნაციონალი. თუმცა ბლოკადამ და იმპერიალისტების მხრივ დევნამ ბევრ დელეგატს ხელი შეუშალეს მოსკოვში ჩამოსულიყვნენ, მიუხედავად ამისა I კონგრესს დაესწრნენ დელეგატები ევროპისა და ამერიკის უმნიშვნელოვანესი ქვეყნებიდან. კონგრესს ხელმძღვანელობდა ლენინი.

**„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსიდან“**

# უნივერსიტეტი წინათ და ახლა

თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს უდიდესი მიღწევები აქვს **საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 18 წლის თავზე** სწავლის ხარისხის ამაღლების, სამეცნიერო კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების, მეცნიერ მუშაკთა და სტუდენტთა რიცხვის ზრდისა და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობისათვის მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში.

1919—20 სასწავლო წელს ბურჟუაზიის აგენტების — მენშევიკების ბატონობის პერიოდში უნივერსიტეტი, როცა მასში შედიოდა პოლიტექნიკური, აგრონომიული, პედაგოგიური და საექიმო ფაკულტეტი, აერთიანებდა 3054 სტუდენტს. ამჟამად უნივერსიტეტში აღნიშნული დარგების გამოკლებით სწავლობს 5105 სტუდენტი. ასევე გაიზარდა მეცნიერ მუშაკთა რიცხვი. 1919—20 სასწავლო წელს უნივერსიტეტში იყო 30 პროფესორი, 7 დოცენტი, 7 მასწავლებელი, 34 ასისტენტი და 12 ასპირანტი. ახლა — მიმდინარე წელს უნივერსიტეტში მუშაობს 60 პროფესორი, 184 დოცენტი, 72 მასწავლებელი, 99 ასისტენტი და 174 ასპირანტი. ამას გარდა უნივერსიტეტს ამჟამად ყავს 3 აკადემიკოსი, აკადემიის 3 წევრ-კორესპონდენტი, აგრეთვე დოქტორები.

უნივერსიტეტში იმდენად გაზრდილია კათედრების, კაბინეტების, ლაბორატორიებისა და სხვა სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულებათა რიცხვი, რომ მისი შედარება არც კი შეიძლება წარსულთან.

მაშინდელი უნივერსიტეტის ბიუჯეტი სასაცილოდ მოსჩანს შედარებით ახლანდელთან.

ჩვენი უნივერსიტეტის ეს უდიდესი მიღწევები შედეგია პარტიისა და ხელისუფლების პირადად დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** უდიდესი ზრუნვისა მშრომელთა განათლების საქმისათვის.

ქართველი ხალხის ღირსეული შვილის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით უკანასკნელ წლებში გაფართოვდა, გაძლიერდა და ნამდვილ ბოლშევიკური კადრების სამჭედლოდ გადაიქცა ჩვენი უნივერსიტეტი, ის უნივერსიტეტი, რომელიც ღირსეულად ატარებს **დიდი სტალინის** სახელს.

**ა. ურუშაძე.**

# დისერტაციის დაცვა

მიმდინარე წლის 17 თებერვალს ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკმა ამხ. **თედორე ივანეს-ძე ჭაიამ** ეკონომიური მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ზედნადები ხარჯები აბრეშუმის მრეწველობაში".

ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ ამხ. ჭაიას მიანიჭა ეკონომიური მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ამხ. ჭაია კომკავშირელია 1923 წლიდან. ამჟამად ის საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატია. მან **ლენინურ** კომკავშირის 20 წლის თავთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებანი უკლებლივ გაანაღდა.

**ა. მიქაია.**

## შეჯიბრება კიევის უნივერსიტეტთან

# აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი

**კიევის** უნივერსიტეტთან შეჯიბრებამ თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექვსი ათასიანი კოლექტივის უდიდესი ინტერესი და ენტუზიაზმი გამოიწვია სწავლის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში.

ამას მოწმობს პირველი სემესტრის შედეგები. ასე მაგალითად 4.279 სტუდენტიდან ფრიადოსანია 914 და დამკვრელია 773.

1.781 ქალიდან 350 ფრიადოსანია და 277 დამკვრელი. საშუალო ნიშანი უდრის კომუნისტებისა 4,06, კომკავშირელებისა 4,08, ხოლო უპარტიოებისა 3,99. უნივერსიტეტის მასშტაბით სტუდენტზე საშუალო ნიშანი უდრის 4,06.

ამ მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. პირველ სემესტრში სუსტად იყო გაშლილი შეჯიბრება; მაგალითად ეკონომიურმა ფაკულტეტმა შეჯიბრებაში გამოიწვია ფილოლოგიური ფაკულტეტი, მაგრამ უკანასკნელმა გამოხმაურების გარეშე დასტოვა იგი. გარდა ამისა პირველ სემესტრში უნივერსიტეტის 250 სტუდენტი ინდივიდუალური შეჯიბრების გარეშე დარჩა.

ჩვენი ამოცანაა ფართედ გავშალოთ შეჯიბრება, როგორც ფაკულტეტებსა და ჯგუფებს შორის ისე ინდივიდუალურადაც. არცერთი სტუდენტი და პედაგოგიური პერსონალი არ უნდა დაგვრჩეს ინდივიდუალური შეჯიბრების გარეშე. ამჟამად კი 60 მეტი სტუდენტი შეჯიბრების გარეშეა დარჩენილი, ხშირად ხელშეკრულებაში ზოგად მუხლებს სწერენ და სხვა. ამ საქმეში უდიდესი მუშაობის ჩატარება ევალებათ ფაკულტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირულ ორგანიზაციებს.

პირველ სემესტრის დამთავრების შედეგად ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოგვცა **ისტორიის** ფაკულტეტმა, სადაც სტუდენტის საშუალო ნიშანი უდრის 4,39 და **სამართლისამ,** საშუალო ნიშანი უდრის 4. სუსტად მუშაობს გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტის ხელმძღვანელობა სტუდენტთა აკადემიური წარმატებისათვის ბრძოლაში, რის შედეგად საშუალო ნიშანი ამ ფაკულტეტზე უდრის 3,8.

კიევის უნივერსიტეტთან დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია კათედრებზე ჩატარდეს მეთოდური მოხსენებანი სამჯერ. ამ მუხლის შესრულებისათვის პრაქტიკული ნაბიჯი ჯერ არ გადაუდგამს **უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილს.**

ფაკულტეტების ხელმძღვანელებმა ვერ ჩაატარეს სათანადო მუშაობა ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მუხლის: სესიებზე სტუდენტთა 100 პროცენტით გამოცხადების განხორციელებისათვის, რის შედეგად საგნები ვერ ჩააბარა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე 273, ბიოლოგიისა 193 და ფილოლოგიურზე 183 კაცმა. ეს ფაქტები დეკანატების სუსტ მუშაობაზე ლაპარაკობს.

პირველ სემესტრში სესიების წინ ნაკლებად იყო მოწყობილი მეთოდური კონსულტაციები, აგრეთვე უნდა ჩატარებულიყო ფაკულტეტების მიხედვით მოხსენებანი წიგნსა და პირველ წყაროებზე დამოუკიდებელი მუშაობისათვის, რაც არ ჩატარებულა.

ჩვენ, ჩამორჩენა გვაქვს კულტურულ-მასობრივ მუშაობაში. დღემდე არ სრულდება ის, რაც ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული. არსებობს სხვადასხვა სახის მასობრივი თვითმოქმედების წრეები, მაგრამ მეცადინეობის ჩატარების საშუალება არა გვაქვს უბინაობის გამო და ამაზე რექტორატი თავს არ იწუხებს.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია, რომ მოეწყოს კოლექტიური სვლა თეატრებში 20-ჯერ, 15.000 სტუდენტის მონაწილეობით. აღნიშნული მუხლის შესრულებისათვის საჭიროა არა ნაკლები 150.000 მანეთისა, რექტორატი კი ამ თანხების დახარჯვაზე თავს იკავებს და პროფკომის მიერ 3.000 მანეთის მოთხოვნილება დღესაც უშედეგოდ არის დატოვებული.

კიევის უნივერსიტეტთან შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, საჭიროა თვითეულმა სტუდენტმა, მეცნიერ მუშაკმა და სხვა თანამშრომელმა თავის მოვალეობა ბოლშევიკურად შეასრულოს.

**ვ. სხირტლაძე.**

პროფკომის თავმჯდომარე

# პრორექტორ ამხ. აბაიშვილის საყურადღებოთ

პირველ სემესტრის შედეგები **ბიოლოგიის** ფაკულტეტზე მოწმობს სტუდენტთა აკადემიური მაჩვენებლების ზრდას, გასულ სასწავლო წელთან შედარებით. ამჟამად სტუდენტთა საშუალო ნიშანი უდრის 4,8 ნაცვლად 3,36-სა.

**ბ. თევზაძე, ნ. პაპასკირი, კ. ბახტურიძე, უ. ბაკურაძე, დ. ზარქუა, ქ. ბერია, ა. ადეიშვილი და ელიზბარაშვილი** არა მარტო სწავლის ფრიადოსნები არიან, არამედ აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევიან.

შედარებით გაუმჯობესდა ძირითადი სასწავლო რგოლების კათედრების მუშაობა. კათედრებს ხელმძღვანელობენ ცნობილი მეცნიერები: **ი. ს. ბერიტაშვილი, ნ. ნ. კეცხოველი, ვ. ნ. ნიკიტინი, ლ. პ. კალანდაძე** და სხვა.

ყველა კათედრამ თავის სხდომაზე განიხილა **კიევის** უნივერსიტეტთან სოცშეჯიბრების მუხლები და აიღო ვალდებულებანი, რომელიც ითვალისწინებს: სახელმძღვანელოების დაწერასა და გამოშვებას, სასწავლო პროცესის და საკვლეო სამეცნიერო მუშაობის საუკეთესოდ მოწყობას, ფრიადოსნებთან მუშაობის გაუმჯობესებას, სამეცნიერო წრეების მუშაობის მაღალ საფეხურზე აყვანას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, კოლმეურნეობებში, სკოლებში, წითელ არმიის ნაწილებში, პოპულარული და მეთოდური ხასიათის ლექციების ჩატარებას. ინდივიდუალური ვალდებულებანი აიღო კათედრის თვითეულმა ასპირანტმა და თანამშრომლებმა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბიოლოგიის ფაკულტეტს შედარებით მძიმე პირობებში უხდება მუშაობა. ფაკულტეტი მოთავსებულია უნივერსიტეტის მესამე კორპუსის შენობაში, რომელიც ვერ არის მოწყობილი ნაყოფიერი სასწავლო და საკვლეო მუშაობის ჩატარებისათვის. ვიწრო დერეფნები, შეუფერებელი აუდიტორიები — ცუდი იატაკითა და ფანჯრებით, გათბობა სწორმოებს არა ყოველთვის რის გამო ხშირად შეუძლებელიც კი ხდება მუშაობა აუდიტორიებსა და კაბინეტებში.

იატაკის რყევის გამო შეუძლებელია მიკროსკოპებში და ბინუკულიარებში ობიექტებზე დაკვირვება.

ზაფხულის არდადეგების პერიოდში შენობის რემონტი მხოლოდ ნაწილობრივ ჩატარდა, ისიც სწავლის დაწყების შემდეგ, ოქტომბერში, რამაც ხელი შეუშალა სასწავლო მუშაობას.

შენობაში არ არის ელექტრო განათება, ამიტომ საღამოს ცვლას მუშაობა უხდება ლამფის სინათლეზე, ლამფებიც საკმარისად არა გვაქვს, უსინათლობა ამცირებს სტუდენტთა პრაქტიკულ მუშაობის ხარისხსაც.

**დასახელებული დეფექტების გამოსწორებისათვის ნაკლებად ზრუნავს უნივერსიტეტის პრორექტორი ადმინისტრატიულ დარგში ამხ. აბაიშვილი.**

მოუქნელად მუშაობს კომენდანტურაც, რის გამო ადგილი აქვს უსუფთაობას, ხშირად კომენდანტებს დანიშნულ ადგილზე ვერ ნახავთ.

რექტორატმა დროზე და გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღოს მესამე კორპუსის ნორმალურ პირობებში ჩაყენებისათვის.

**ლავროსი კუტუბიძე.**
**ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი.**

# შედეგების განხილვისას

4 თებერვალს ჩატარდა გეოგრაფ-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა და პედპერსონალის გაერთიანებული კრება. კრებაზე განხილულ იქნა პირველი სემესტრის შედეგები. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ფაკულტეტის დეკანმა ამხ. **ზარიძემ.**

კამათში გამოვიდნენ პროფესორ დოქტორი **ა. ჯავახიშვილი,** დოცენტი **შ. სანიკიძე,** სტუდენტები **ნ. უკლება, უნგიაძე, ლიბანიძე, გუჯაბიძე** და სხვები.

კამათში გამოსული ამხანაგები მკაცრად აკრიტიკებდნენ დეკანატის სუსტ მუშაობას, რის შედეგად აკადემიურმა წარმატებამ დაიკლო გასულ წელთან შედარებით, გაიზარდა გაცდენები, 30 კაცით შემცირდა ფრიადოსანთა რიცხვი, ასევე შემცირდა კარგოსნების რიცხვი, იმატა სუსტნიშნიანების რიცხვმა.

აგრეთვე აღნიშნეს, რომ დეკანატი არა საკმაოდ ეხმარება სტუდენტთა სამეცნიერო წრეებს, არ მოუწვევიათ ფრიადოსანთა შეკრება და არ მოუწყვია მათი გამოცდილების გაზიარება.

კრებამ მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

**დ. უკლება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უნივერსიტეტის მოწინავე ქალები

ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს—8 მარტს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერი ხალხი უდიდესი ზეიმით აღნიშნავს.

საბჭოთა ქალები, 8 მარტის დიად დღეს შეხვდნენ **ლენინ-სტალინის** პარტიის გარშემო მტკიცედ შეკავშირებულნი, პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი** უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის მხურვალე გრძნობით გამსჭვალული, რომელმაც მიანიჭა მათ სრული თავისუფლება, თანასწორობა, შრომის, განათლებისა და დასვენების უფლება, საამური და ბედნიერი ცხოვრების პირობები.

ქალთა სიხარულს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ მათ ეს დიადი დღე იზეიმეს და ახალი წარმატებებით აღნიშნეს სწორედ ორი დღით ადრე მე-18 პარტყრილობის გახსნამდე. მე-18 პარტყრილობა გაიხსნება დღეს, რომელიც შეაჯამებს მოპოებულ ისტორიული მნიშვნელობის მიღწევებს და დასახავს ახალ ლონისძიებებს შემდგომი წინსვლისა და გამარჯვებებისათვის.

8 მარტს, საბჭოთა კავშირის მშრომელ ქალებთან ერთად თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალებიც თვალსაჩინო წარმატებებით შეეგება მოწინავე მეცნიერების დაუფლების, **ლენინ-სტალინის** პარტიის გმირული ისტორიისა და სამხედრო ტექნიკის შესწავლის საქმეში.

უნივერსიტეტში ყოველწლიურად მატულობს სტუდენტი, მეცნიერ მუშაკი და თანამშრომელ ქალთა რიცხვი. იზრდება მათი საზოგადოებრივი პოლიტიკური აქტივობა, მატულობს მეცნიერ მუშაკთა და ფრიადოსანთა რიგები მოწინავე ქალების ხარჯზე.

მიმდინარე წლის მარტისათვის, ჩვენს უნივერსიტეტში სწავლობს და მუშაობს დაუსწრებელ პედ-სექტორის გამოკლებით 2451 ქალი. ამათგან მეცნიერ მუშაკი 197, სტუდენტი 1979, ბიბლიოთეკასა და ფაკულტეტებზე მომუშავე 83.

სტუდენტ ქალთაგან ფრიადოსანია 350, დამკვრელია 277.



სურათზე: ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსის ფრიადოსნები: დარიკო გომელაური, სონია პეტრიაშვილი და ბაბილინა ლომინაძე

მეცნიერ მუშაკ ქალთაგან პროფესორია 1, დოცენტი 14, უფროსი მასწავლებელი 16, ასისტენტი 40, ასპირანტი 54, ლაბორანტი 56 და პრეპარატორი 17.

უნივერსიტეტს მრავლად ყავს ისეთი მოწინავე ქალები, რომლებიც თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად ეწევიან აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას. ასეთებია: მეცნიერ მუშაკთაგან პროფესორი **ნინო ციციშვილი**, დოცენტი **ანა მოსეშვილი**, ასისტენტები **პიერა კილასონია** და **პელაგია ცისკარიძე**, ასპირანტები **ელისაბედ ცაბოლავა** და **ოლია მამალაძე**.

სტუდენტთაგან ფრიადოსნებია **მარიამ კრილოვა, კლარა სამსონიძე, გულჯავარ ფირცხალავა, ირაიდა ბიკოვა, ვალენტინა ბალუევა** და სხვები.

17 ქალი მიღებულია პარტიის რიგებში, მათგან **ჩიხლაძე, ჩარკვიანი, ხუნდაძე, პარტუგიმოვა** და სხვები.

უნივერსიტეტის ორი ათასიანი ქალთა კოლექტივი ვიბრძოლებთ კიდევ უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოებლად.

**ტატიანა დუნდუა.**

**უნივერსიტეტის პარტკომის მდივნის მოადგილე.**

# ჩემი სიხარული

ბედნიერი საბჭოთა ქალები უდიდესი სიხარულით და ენტუზიაზმით აღნიშნავენ **ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს — 8 მარტს.** მეც, როგორც საბჭოთა ახალგაზრდა ქალს, დიდად მახარებს ეს დღე, მით უმეტეს, რომ სწავლის ფრიადოსნობით ვხვდები ამ დიდ მნიშვნელოვან თარიღს.

ჩემი ოცნება იყო შემოვსულიყავი უნივერსიტეტში და დავუფლებოდი მოწინავე მეცნიერებას. ამის საშუალება მომეცა. ახლა უკვე ისტორიის ფაკულტეტის მე-4 კურსზე ვარ, სამი წელია, რაც ფრიადოსანი ვარ. სწავლასთან ერთად ვათავსებ კომკავშირულ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

მთელი მონდომებით ვსწავლობ საკ. კ. პ. (ბ) გმირულ ისტორიას.

სამუშაო დრო გამოყენებული მაქვს რაციონალურად, ვეხმარები აკადემიურად ჩამორჩენილ ამხანაგებს, რომ ისინიც გახდნენ მოწინავენი.

ბედნიერია საბჭოთა ქალები. მათ აქვთ უფლება სწავლის, დასვენების, სახელმწიფოებრივ მმართველობისა და სხვა.

8 მარტის დღესთან დაკავშირებით ვიღებ ვალდებულებას ბოლომდე შევინარჩუნო ფრიადოსნობის სახელი, ღრმად შევისწავლო **ლენინ-სტალინის** პარტიის გმირული ისტორია, ფრიადზე შევისწავლო სამხედრო საქმე და უნაკლოდ შევასრულო კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დავალებანი.

**ქეთო კვიჟინაძე.**

# ქალი ჩვენთან

მხოლოდ საბჭოთა კავშირის ქალეში ვართ ნამდვილად თავისუფალი. ეს თავისუფლება მოგვანიჭა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

მე, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში საშუალება მომეცა დამემთავრებინა უმაღლესი სასწავლებელი, რის შემდეგ დატოვებული ვიქენი კათედრასთან უმცროს მეცნიერ მუშაკად. ამჟამად ვმუშაობ ანალიზური ქიმიის კათედრასთან ასისტენტად და ქიმიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეთ.

მეცნიერული ხარისხის მოსაპოებლად ვამუშავებ სადისერტაციო შრომას და 8 მარტის დღესთან დაკავშირებით ვალდებულებას ვიღებ შრომა დავასრულო მიმდინარე სასწავლო წელს.

**მ. ხუნდაძე.**

# სოციალისტური ქვეყნის ქალები

**სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატათ არჩეულია 189 ქალი, რაც შეადგენს 16,5%-ს. სსრ კავშირის ცაკის პირველი მოწვევისას არჩეული იყო 13 ქალი, ანუ 2,6%.**

**სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს 55 დეპუტატი ქალი დაჯილდოებულია ორდენებით.**

**მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში დეპუტატებათ ითვლება 848 ქალი, ანუ 23,6%.**

**მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოების თავმჯდომარეთა და მოადგილეთა შორის ქალთა რიცხვი შეადგენს 27,3%.**

**მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებში არჩეულია 12 ქალი.**

**სოფსაბჭოების სექციებში 1938 წელს მონაწილეობას იღებდა 945,6 ათასი ქალი, სადეპუტატო ჯგუფებში კი 474,8 ათასი.**

**„სპუტნიკ აგიტატორადან"**



სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ფრიადოსნები: ქეთო კვიჟინაძე (ისტორიის ფაკულტეტის მე-4 კურსი), ეთერი მამფორია (ფილოლოგიის ფაკულტეტის I კურსი), მადლენა კუკულაძე (ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსი) და კლარა სამსონიძე (ფილოლოგიის ფაკულტეტის I კურსი)

# დიად მოძღვრებაზე დაუფლებისათვის

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებამ ნამდვილი გასაღები მოგვცა **მარქსიზმ-ლენინიზმის** ღრმად შესწავლისათვის.

ამ დადგენილებისა და „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლამდე ვერ ვღებულობდი შედეგს მრავალ წლების მეცადინეობიდანაც კი, რადგან მეთოდი სწავლისა იყო კუსტარული.

მე, ჯერ კიდევ 1934 წლიდან ვითვლებოდი პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში ჯერ მსმენელად და შემდეგ პროპაგანდისტად, მაგრამ უნდა აღვნიშნო გასულ ოთხი წლის განმავლობაში ჩემს თავზე მუშაობამ ისეთი შედეგი ვერ მომცა, როგორიც მივიღე „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებიდან დღემდე ინდივიდუალური მეცადინეობის საფუძველზე.

ამჟამად ყოველგვარი პირობებია შექმნილი ბოლშევიზმის დაუფლებისათვის; გვაქვს დიადი **სტალინური** სახელმძღვანელო — „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" სახით, იშოვება პირველადი წყაროები **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** ნაწარმოებიდან, ტარდება კონსულტაციები და თეორიული ხასიათის ლექციები, ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება პარტიის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე განმარტებები და სხვა. ამგვარად პირობები გვაქვს, რომ დავეუფლოთ **მარქსიზმ-ლენინიზმის** დიად მოძღვრებას, მხოლოდ საჭიროა მონდომება.

პირადათ მე ჩემთვის შევადგინე დამოუკიდებლად მეცადინეობის გეგმა და ყოველდღე 2—3 საათს ვმეცადინობ.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" სახელმძღვანელოში ჯერ წავიკითხავ ქვეთემებს და შემდეგ ვეძებ მასზე მასალებს გაზეთებსა და ჟურნალებიდან (ეს მასალები კი შეგროვილი მაქვს ცალკე), ამის შემდეგ ვკითხულობ პირველად წყაროებს **ლენინ-სტალინის** ნაწარმოებებიდან. **ხშირად** ერთდაიმავე საკითხს ორ-სამჯერ უბრუნდები.

ვადგენ მთავარ საკვანძო საკითხების კონსპექტს, გაუგებარ საკითხებს ცალკე ვინიშნავ და განმარტებისათვის დავდივარ კონსულტაციაზე. ხშირად დავდივარ **ლენინის** მუზეუმში დოკუმენტალური მასალების გაცნობისათვის, სისტემატურად ვესწრები თეორიული ხასიათის მოხსენებებს, ვსარგებლობ ალბომითა და რუქით.

**ი. ჩანტლაძე.**

## გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა კედლის გაზეთებზე

28 თებერვალს გაზეთ **„ბოლშევიკური კადრებისათვის“** რედაქციაში შესდგა საფაკულტეტო პარტორგანიზაციების პარტორგების, კედლის გაზეთების რედაქტორებისა და რედკოლეგიათა წევრების თათბირი.

თათბირზე განხილული და გარჩეული იქნა **ისტორიის, სამართლისა** და **ეკონომიური** ფაკულტეტის კედლის გაზეთები, რამდენად ისინი ასრულებენ აღებულ ვალდებულებებს მე-18 პარტიულ ყრილობისათვის მზადების საკითხების გაშუქებაში.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ითქვა, რომ რიგი ფაკულტეტების კედლის გაზეთებმა ფართო ადგილი დაუთმო მე-18 პარტიული ყრილობისათვის მზადების საკითხებს, მოეწყო კედლის გაზეთების ფურცლებზე ამხანაგ **მოლოტოვისა** და ამხანაგ **ჟდანოვის** მოხსენებათა თეზისების განხილვა, შუქდებოდა წინასაყრილობო ვალდებულებათა აღება სტუდენტთა და მეცნიერ მუშაკთა მიერ.

აღინიშნა ისიც, რომ ისტორიისა და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კედლის გაზეთები შედარებით მოწინავეთა რიგებში დგანან.

საფაკულტეტო კედლის გაზეთების მუშაობის ერთგვარ გაუმჯობესებასთან ერთად ლაპარაკი იყო იმ ნაკლოვანებებზე, რომელიც ჯერ კიდევ მათ მუშაობას ახასიათებს. ვერ არის გაშლილი კრიტიკა სასწავლო დარგში არსებული ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და შრომის დისციპლინის გამტკიცებისათვის, არა საკმაოდ შუქდება სოცშეჯიბრების მიმდინარეობა, ნაკლები ყურადღება ექცევა გაზეთების მხატვრულად გაფორმებას, გაზეთის მორიგი ნომრები თავის დროზე არ გამოდის და სხვა.

თათბირზე კედლის გაზეთების რედაქტორებმა წინადადება შემოიტანეს გამოიყოს ოთახი, სადაც შეიძლება დაიწეროს გაზეთი და აგრეთვე გამოიყოს სათანადო თანხები, რაც საჭიროა გაზეთის გაფორმებისათვის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობს კედლის გაზეთების მუშაობას.** უკანასკნელ ხანებში საკედლისგაზეთო მუშაობის საკითხებზე „ბოლშევიკური კადრებისათვის“ რედაქციაში ორჯერ ჩატარდა თათბირი, მაგრამ პარტიული კომიტეტის მუშაკები არცერთხელ არ დასწრებია. სწორედ სუსტი პარტიული ხემძღვანელობის შედეგია, რომდესაც ფილოლოგიის ფაკულტეტზე მიმდინარე წელს კედლის გაზეთის მხოლოდ ერთი ნომერი გამოუშვეს და ისიც დაბალი ხარისხის.

## ც ნ ო ბ ა

**15 მარტს გაზეთ „ბოლშევიკური კადრებისათვის“ რედაქციაში საკედლისგაზეთო მუშაობის საკითხებზე გაიმართება ინდივიდუალური კონსულტაცია. კედლის გაზეთის რედაქტორებს, რედკოლეგიათა წევრებს და სტუდკორებს შეუძლიათ გამოცხადდნენ დღის 3-დან 5 საათამდე.**



ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის № ნაწილი ფიცის მიღების დროს

## სამხედრო ტაქტიკურ მეცადინეობაზე

თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სახელოვანი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 21 წლის თავის აღსანიშნავად 21 თებერვალს მოაწყო სამხედრო ტაქტიკური მეცადინეობა.

**სამხედრო ტაქტიკურმა მეცადინეობამ სტუდენტობაში დიდი ინტერესი გამოიწვია.**

**ცალკეული ნაწილებიდან გამოირჩეოდა ნაწილი, რომელსაც მეთაურობდა ამხ. შ. საბანაძე. ნაწილმა ზუსტად შეასრულა მასზე დაკისრებული ამოცანები.**

**მებრძოლებიდან გამოირჩეოდნენ: დ. კერესელიძე, მ. რაქვიაშვილი, დ. სალუქვაძე, მესხი და დიასამიძე, რომლებიც მოხდენილად გადადიოდნენ შეტევაზე.**

შესვენებისას ცალკეულ ნაწილებში ტარდებოდა პოლიტ-საუბრები, გაზეთის კითხვა, აგრეთვე გამოშვებულ იქნა საველე გაზეთები.

ტაქტიკური მეცადინეობა უდიდესი წესრიგით ჩატარდა. ამით ერთხელ კიდევ დამტკიცებულ იქნა ჩვენი საბრძოლო მზადყოფნა და ბრძოლის უნარიანობა.

**დ. უკლება**
**შ. ჯანიბეგაშვილი.**

## მებრძოლი პარაშუტისტები

21 თებერვალს, სოღანლუღის რაიონში მოწყობილ სტუდენტთა სამხედრო ტაქტიკურ მეცადინეობაზე სტუდენტ-პარაშუტისტთა დესანტმაც მიიღო აქტიური მონაწილეობა, რამაც ნათლად დაამტკიცა მათი საბრძოლო მზადყოფნა.

საპარაშუტო საქმის სპორტსმენები სტუდენტები **ნარიმანიძე, ჯაიანი, ჯინჯოლავა, ნიკოლეიშვილი, დგებუაძე, ლომინეიშვილი, შერაზადიშვილი, ფარქოსაძე, შველიძე, ჯავახიშვილი და კოჯლამაზაშვილი** უვნებლად გადმოხტნენ პარაშუტით თვითმფრინავიდან, ჩამოხტომის შემდეგ პარაშუტისტთა დესანტმა ტაქტიკური მეცადინეობისას ბრწყინვალედ შეასრულა რაზმის უფროსის ამხ. ნარიმანიძის მიერ მიცემული დავალება, რითაც „ლურჯებს“ არ მიეცა საშუალება მოქმედებისა და ლონემიხდილი „მტერი“ დაგვნებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაკისრებული ამოცანის შესრულებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს საპარაშუტო საქმის ინსპექტორმა ამხ. **ს. ინწკირველმა** და ოსტატმა ამხ. **ერისტოვმა**, რომლებმაც გულდასმით მოგვიმზადეს პარაშუტები და ყოველგვარი ახსნა-განმარტება მოგვცეს საბრძოლო დავალების შესრულებლად.

**ს. ნიკოლეიშვილი.**

## დავეუფლოთ ხელჩართულ ბრძოლის ტექნიკას

საბჭოთა კავშირის ათიათასობით ახალგაზრდა პატრიოტები სწავლობენ ყუმბარის შორს ზუსტად ტყორცნას, თოფითა და ტყვიამფრქვევიდან საუკეთესოდ სროლას.

მაგრამ იმისათვის, რომ იყვე ყოველმხრივ განვითარებული მებრძოლი, არაა საკმარისი მარტო ყუმბარისა და ტყვიამფრქვევის კარგად ცოდნა, არამედ ამასთანავე საჭიროა თვითეული ახალგაზრდა დაეუფლოს ხელჩართული ბრძოლის ტექნიკას. სპორტის ისეთი სახეები როგორიცაა ფარიკაობა, ჭიდაობა, კრივი, ლელო და სხვა მებრძოლში იმუშავებენ ძალას, მოქნილობას, გამძლეობას, სისწრაფეს და ბრძოლაში გამარჯვების რწმენას.

მომზადება და შევსება წითელი არმიის რიგებისა, ხელჩართული ბრძოლის ტექნიკის კარგად მცოდნე ახალგაზრდობით — ფიზკულტურული ორგანიზაციების პირდაპირი მოვალეობაა.

**ლ. ღუდუშაური.**
**კრივის სექციის ხელმძღვანელი.**

## სიგნალები

### უყურადღებობის შედეგად

ბამბის რიგის ქუჩაზე უნივერსიტეტს აქვს საერთო საცხოვრებელი, სადაც ცხოვრობს 65 სტუდენტი. ეს საცხოვრებელი ყურადღების გარეშეა დატოვებული, იქ არ არის წესიერი მომსახურება.

საცხოვრებლის ეზოში უსუფთაობაა, სდგას ტალახისა და წყლის გუბე. საკმარისად არ თბება ოთახები და ზოგჯერ სრულებით არ არის გათბობა. კომენდანტი თითქოს შეშის „ეკონომიას“ ეწევა.

წითელი კუთხე იმის გამო, რომ გათბობა არ არის ხშირად დაკეტილია. ელექტრონის სინათლის უქონლობის შემთხვევაში განათება არა გვაქვს, ამ შემთხვევისათვის ლამფებით მოუმარაგებელი ვართ.

2 მარტს № 4 ოთახში წყალი ჩამოდიოდა, მაგრამ პატრონი არავინ სჩანდა.

**შ. ლომსაძე.**

### სუსტად მუშაობს

**ფილოლოგიის** ფაკულტეტთან არსებობს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ მთვარის ორგანიზაცია, რომლის მდივნად არჩეულია ამხ. **დ. ქორიძე.**

ეს ორგანიზაცია სუსტად მუშაობს. ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა არც კი იციან რამდენი წევრი ყავთ, მოუმზადებლად იწვევენ კრებას, ამის გამო კრება ორჯერ ჩაიშალა.

ფაკულტეტების ორგანიზაციებს სათანადო დახმარებას ვერ უწევს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ მთვარის საუნივერსიტეტო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **გავაშელი.**

ფაკულტეტის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც ნაკლებად არიან დაინტერესებული ამ ორგანიზაციის მუშაობით.

**ა. ბექაური**
**ვ. ფოფხაძე**

### ჩვენი მოთხოვნა

სტუდენტთა ქალაქის ყველა კორპუსში არსებობს წითელი კუთხე, სადაც სტუდენტები კითხულობენ ჟურნალგაზეთებს, ჩაბმული არიან თვითმოქმედ წრეებში და სხვა.

ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს მე-6 კორპუსი. აქ, 1937 წელს წითელი კუთხე გადააკეთეს სტუდენტთა ბიბლიოთეკად და ამ კორპუსში მცხოვრებ სტუდენტთათვის კულტურული საქმიანობა გადაიტანეს საცხოვრებელ ოთახებში.

ბიბლიოთეკითაც კარგად ვერ ვსარგებლობთ, რადგან ბინაზე არ შეიძლება წიგნების წაღება, იქ კი ყველასათვის შეუძლებელი ხდება მეცადინეობა ბიბლიოთეკის ოთახის სიპატარავის გამო.

ჩვენ მოვითხოვთ მე-6 კორპუსში წითელი კუთხისათვის ბინის გამონახვას და აგრეთვე ბიბლიოთეკის ბინის გაფართოებას.

**ა. ქავთარაძე.**

### ცარცი არა გვაქვს

**აუდიტორიაში მეტწილად არა გვაქვს ცარცი, თუ არის ისიც ცუდი ხარისხისა, რაც ხელს უშლის სასწავლო პროცესის ნორმალურად ჩატარებას.**

**ეს გამოწვეულია იმით, რომ უნივერსიტეტის მომარაგების სექტორი არ ზრუნავს კარგი ხარისხის ცარცით მომარაგებისათვის.**

**დოც. თ. ჭაია.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბრ. ხურცილავა

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლითოგრაფია. მარის ქ. № 1. ტირაჟი 3.000, მთავლიტის რწმ. № 917